



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: 31.31212591

თარიღი: 16/09/2021

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №9

ქ. ლანჩხუთი

14. 09. 2021 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ხათუნა ვადაჭკორია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ბიძინა იმნაიშვილი, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 27 სექტემბერი 11:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 5 წევრი.

მომხრე ბიუროს 5 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დღის წესრიგის პროექტს უნდა დაემატოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ განხილული საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების კანონთან შესაბამისობის თაობაზე“.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის საგარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროს გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 მარტის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის საგარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის საგარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5. „ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლის და მასში ჩამავალი მდინარეებისა და მიმდებარე ტერიტორიის ნარჩენებისაგან გაწმენდის ხელშეწყობის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ“ ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებისა და შპს „მყარი ნარჩენების კომპანიის“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის საგარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის, შენობა - ნაგებობის დემონტაჟის ან/და ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების შესახებ“.

/მომხსენებელი გერიკო კვირკველია/

10. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 5 წევრი.

მომხრე ბიუროს 5 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე ისაუბრა მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №39 დადგენილებაში (ვებგვერდი, 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.112.016321) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მეხუთე მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მუნიციპალიტეტში შემოსული და ადგილზე შექმნილი დოკუმენტების აღრიცხვას;“

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩხუთის განვითარებისთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 5 წევრი.

მომხრე ბიუროს 5 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროს გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 მარტის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროს გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 მარტის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (ვებგვერდი,

29/03/2021; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.112.016445) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

ეს წესი განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, აგრეთვე ამ წესის აღსრულების მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში სამსახური) მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.“

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროს გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 მარტის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩხუთის განვითარებისთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 5 წევრი.

მომხრე ბიუროს 5 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გარე

განათებაზე მოხმარებული ელ.ენერგიის დაფინანსება განისაზღვრა 230,0 ათასი ლარით წინა წლის ფაქტიურ ხარჯთან შედარებით 25,0 ათასი ლარით მეტი. მიუხედავად აღნიშნულისა გამოიკვეთა, რომ წლის დარჩენილი პერიოდისათვის დეფიციტი შეიქმნა გარე განათებაზე მოხმარებული ელ.ენერგიის დაფინანსების საკითხში, კერძოდ მიმდინარე წლის 25 აგვისტოს მდგომარეობით გაიხარჯა 217,7 ათასი ლარი, დარჩა 12,3 ათასი ლარი, რაც ვერ დააფინანსებს აგვისტოს თვეში მოხმარებულ ელ.ენერგიის ღირებულებას. იმის გათვალისწინებით, რომ განვლილ პერიოდში საშუალოდ თვის ხარჯი შეადგენდა 27,3 ათას ლარს, დამატებით წლის დარჩენილი პერიოდისათვის 109,0 ათასი ლარით უნდა გაიზარდოს მოხმარებული ელ.ენერგიის ხარჯის დაფინანსება. ხარჯის დაფინანსება უნდა განხორციელდეს ჯარიმების და საურავების გეგმის 109,0 ათასი ლარით ზრდის ხარჯზე.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩხუთის განვითარებისთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 5 წევრი.

მომხრე ბიუროს 5 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს ბიუროს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთის განვითარებისთვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2021 წლის აგვისტოს თვეში შემოსულობებმა 12801392,5 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 64,8%-ს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 4312472,7 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 56,4%; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 4262472,7 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 56,1%; მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 376934,82 ლარი, რაც წლიური გეგმის 73,6%-ია. საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 8488919,8 ლარი შეადგინა, რაც წლიურ საპროგნოზო მაჩვენებლის 70%-ს შეადგენს, დღგ-მ შეადგინა 5335557,44 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 65,0% შეადგინა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი 75426,65 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 150,9% შეადგინა. მათ შორის ფიზიკური პირებიდან- 52029,75 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 173,4% შეადგინა, იურიდიული პირებიდან-23396,99 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 117,0% შეადგინა. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი 115295,81 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 18% შეადგინა. სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 2234610,84 ლარი, გეგმის 86,1%. მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 49592,41 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 33,1% შეადგინა; იჯარით გაცემული ქონებიდან შემოსავალი 17021,89 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 170,2% შეადგინა; ადმინისტრაციული მოსაკრებლის შემოსავალი 13603,55 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 59,1% შეადგინა; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 2095731,27 ლარი- წლიური პროგნოზის 90,2%, არაფინანსური აქტივების კლებიდან (რეალიზაცია) მიღებულია 319511,3 ლარი რამაც 100,4% შეადგინა.

განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 12980694 ლარი. აგვისტოს თვეში შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 3360176 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიცა 1434924 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 3279650 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 411541 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 5363574 ლარი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების ანგარიში ცნობად იქნას მიღებული.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლის და მასში ჩამავალი მდინარეებისა და მიმდებარე ტერიტორიის ნარჩენებისაგან გაწმენდის ხელშეწყობის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ“ ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებისა და შპს „მყარი ნარჩენების კომპანიის“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან აღნიშნა, რომ მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდება შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და ზღვაში ჩამავალი მდინარეების მყარი ნარჩენებისაგან გასუფთავება, რაც მნიშვნელოვანია ზღვის ეკოსისტემის დაცვისათვის და ტურისტული პოტენციალის განვითარებისათვის.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლის და მასში ჩამავალი მდინარეებისა და მიმდებარე ტერიტორიის ნარჩენებისაგან გაწმენდის ხელშეწყობის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ“ ლანჩუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებისა და შპს „მყარი ნარჩენების კომპანიის“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩუთის განვითარებისთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 6 წევრი.

მომხრე ბიუროს 6 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს განცხადებით მომართა საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა გიორგი პერტაიამ (კანც. N 04.302123930-30 27.08.2021 წელი), რომელშიც აღნიშნულია, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიას და სსკ-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის 2021 წლის 5 თებერვალს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით გურიის რეგიონალური პალატისთვის გადაცემულია ქ.ლანჩუთში, ნინოშვილის ქ. N 37-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული -ს/კ 27.06.52.141 შენობიდან საოფისე ფართი N15-26,51 კვ.მ. აღნიშნული ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის 31 აგვისტოს. სსკ-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, გურიის რეგიონული პალატის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის მოთხოვნილია ზემოთ აღნიშნული ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემა

და იჯარის ხელშეკრულების გაფორმება 2021 წლის 1 სექტემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, საქართველოს სამრეწველო სავაჭრო პალატას (ს/ნ 204852775) გადაეცეს იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, ქალაქ ლანჩხუთში ნინოშვილის ქ. N 37-ში მდებარე „მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა - ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) მეორე სართულზე მდებარე N15 ფართი- 26.51 კვ.მ. წლიური საიჯარო ფასის ოდენობა განისაზღვროს ფართის მთლიანი ღირებულების - 18 615 .3 ლარი -5% -ის ოდენობით -930.8 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩხუთის განვითარებისთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 6 წევრი.

მომხრე ბიუროს 6 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის, შენობა - ნაგებობის დემონტაჟის ან/და ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების

პროექტის თაობაზე ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან აღნიშნა, რომ ორგანიზაციაში ინვენტარიზაცია ტარდება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესაბამისად, ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესაბამისად. დადგენილების პროექტის მომზადება გამოიწვია იმან, რომ მუნიციპალიტეტი ინვენტარიზაციის საკითხებში ხელმძღვანელობს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ბალანსზე რიცხულ) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზირებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებით, რომელიც მოძველებულია და ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის, შენობა - ნაგებობის დემონტაჟის ან/და ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 6 წევრი.

მომხრე ბიუროს 6 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან განაცხადა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში არსებული უძრავი ქონების - (სოფელ ჩოლობარგში მდებარე 1030 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 27.04.51.692) პრივატიზება, აღნიშნული ქონება ამოღებულ იქნას საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და პრივატიზაციის გეგმიდან, ხოლო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ საპრივატიზაციო

ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას უნდა დაემატოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 27.06.48.261; 27.02.41.004; 27.09.50.282 და 27.06.53.289 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებული უძრავი ქონება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩხუთის განვითარებისთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 6 წევრი.

მომხრე ბიუროს 6 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შექმნის თაობაზე“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ**. მან განმარტა, რომ შეიქმნა ახალი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ფრაქციის წევრები არიან ოთარ პატიეშვილი (თავმჯდომარე), კახა ასკურავა (მოადგილე) და იოსებ ჩხაიძე (მდივანი). ფრაქციის დაფუძნება შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე კომისიამ მიიღო დადებითი დასკვნა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შექმნის შესახებ
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და
ეთიკის კომისიის დადებითი დასკვნა.**

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე
მახათაძემ** განაცხადა, რომ სოფელ ჯურუყვეთში მცხოვრებ ედნარ ზიზინიძეს
გაზიზნული ჰყავს ოჯახი, რადგანაც საცხოვრებელი სახლი დაზიანებულია და
შეუძლებელია მასში ცხოვრება. მას დაწყებული აქვს ახალი სახლის მშენებლობა
და ესაჭიროება სახურავის მასალა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

